წლიური სამუშაო გეგმა

განხორციელების დრო	**აქტივობები**	**აქტივობის მიზანი**	**შენიშვნა**
ნოემბერი	თვითმმართველობის წევრებთან შეხვედრა, ლიტერატურული კლუბის დაარსება, სახელისა და ლოგოს შერჩევა, კლუბის კურატორის არჩევა, კლუბის წესდებისა და სამუშაო გეგმის დამტკიცება. მშობელთა ინფორმირება, კლუბის გასაჯაროება	სკოლის თვითმმართველობასთან შეთანხმებით სკოლაში სხვადასხვა კლუბთან ერთად ფუნქციონირებას დაიწყებს ლიტეტარული კლუბიც. თვითმმართველობის წევრები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მიაწვდიან ამ ინფორმაციას, რათა ყველა მოსწავლე იყოს ინფორმირებული.	
ნოემბერი	კლუბის საზეიმო გახსნა, წევრებისათვის კლუბის წესდების, მიზნებისა და ამოცანების გაცნობა, კლუბში გაწევრიანების განაცხადის ფორმის შექმნა და შევსება, მოსწავლეთა იდეებისა და სურვილების გათვალისწინებით კლუბის ლიდერისა და სამუშაო საბჭოს არჩევა.	განისაზღვრა სასკოლო კლუბში მოსწავლეთა შეხვედრის დრო. ძირითადად თვეში ორჯერ (ორ კვირაში ერთხელ) ასევე საჭიროებისამებრ ანდა თუ მათთან შეხვედრას რაიმე გარემოება შეუშლის ხელს, დადგინდეს კვირის რომელიმე დღე. მოსწავლეთა საკონტაქტო მონაცემების ჩაწერა.	
დეკემბერი	კლუბის მუშაობისათვის საკლასო ოთახის მოწყობა	კლუბის წევრებმა აირჩიეს სკოლის ერთი საკლასო ოთახი, სადაც ისინი შეიკრიბებიან და იმუშავებენ ხოლმე, შეთანხმდნენ თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ოთახი	

დეკემბერი	ჩემი საყვარელი წიგნი, ავტორი, პერსონაჟი.	წაკითხული წიგნების განხილვა, პრეზენტაცია, საყვარელი პერსონაჟების გაცნობა.	
იანვარი	შეხვედრა მშობელთა მონაწილეობით	მშობელთა ჩართულობის, აქტივობის გაზრდა ლიტერატურული კლუბის საქმიანობაში	
თებერვალი	რეჟისორ სტივენ ჩბოკსის ფილმ „საოცრებას“ ჩვენება და განხილვა	ემპათიის გრძნობის გაღვივება. დაწერენ ესეს „მეც შენნაირი ვარ“	
თებერვალი	აქტივობა: „ჩაეხუტე მეგობარს“	კლუბის წევრები სკოლაში მოსულ ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს ჩახუტებით მიესალმებიან და სთხოვენ, ანალოგიურად მიესალმონ ისინი სხვებსაც	
მარტი	დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ დედა მე შენ მიყვარხარ!“	მოსწავლეებში მშობლებისადმი სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობის გაღვივება.	
მარტი	”იმედით გამოწვდილი ხელები!“	მოსწავლეები მოინახულებენ მოხუცთა თავშესაფარს. ერთხელ კიდევ გაიაზრებენ რომ უფროს თაობას მოფერება და დაფასება სჭირდება.	
აპრილი	ესეების კონკურსი სახელწოდებით: „ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობ“	საკუთარი აზრისა და მოსაზრებების ჩამოყალიბება ლოგიკური თანმიმდევრობითა და არგუმენტებით	
აპრილი	კონფერენცია თემაზე: „ქართული ენის წარმომავლობა“	ბავშვებმა გაიგონ მშობლიური ენის ისტორია	
მაისი	„ჩემი საყვარელი მოთხრობა“ რევაზ ინანიშვილის შემოქმედებიდან	რევაზ ინანიშვილის შემოქმედების უფრო ღრმად გაცნობა-გააზრება	

მაისი	„კომპლიმენტების აქცია“	კლუბის წევრები სკოლაში კომპლიმენტებს მიუძღვნიან პედაგოგებს, მოსწავლეებს, მთელ სასკოლო საზოგადოებას.	
მაისი	ინტელექტუალური ვიქტორინა : რა, სად, როდის?“	მოსწავლეები გამოავლენენ დაგროვებულ ცოდნას და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარს.	
	პოეზიის საღამო – შეხვედრა რომელიმე ახალგაზრდა პოეტთან	მოსწავლეებში ესთეტიური გემოვნების გაღრმავება	
ივნისი	კინოჩვენება. რეჟისორ რიჩარდ ლაგრავენესის ფილმი „თავისუფლების მწერლები.“	მოსწავლეებში ციფრული წიგნიერების განვითარება, ემპათიისა და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა	
ივნისი	წლიური მუშაობის შეჯამება–შეფასება	წლიური სამუშაოს გაანალიზება – ხარვეზებისა და მიღწევების პრეზენტაცია	